

კულტურული უწყვეტობა სამშვილდეში

ირინა დემეტრაძე, გურამ მირცხულავა

ახლანდელმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა აღმოსავლეთ საქართველოში, სოფელ სამშვილდის მახლობლად, მნიშვნელოვანი მასალა წარმოაჩინა ჩვენი ცოდნის გასაღრმავებლად პრეისტორიული პერიოდების ურთიერთკავშირის საკითხებში. მიწის პატარა ნაკვეთზე, რომელიც 2400 მ²-ს მოიცავდა, ძველი ადამიანის საქმიანობის უწყვეტი კვალი გამოვლინდა ხუთი სხვადასხვა კულტურული პერიოდის მანძილზე. სამშვილდის მრავალფენიანმა ძეგლმა ენეოლითის, შუაბრინჯაოს (თრიალეთის), გვიან ბრინჯაოს, ელინისტური და შუა საუკუნეების მასალები წარმოაჩინა. ამას გარდა, ძეგლზე მოპოვებულმა ფლორისა და ფაუნის ნაშთებმა იმდროინდელ გარემოზე მოგვცა გარკვეული წარმოდგენა, რაც თავის მხრივ შესაბამის დასკვნების გაკეთებაში დაგვეხმარა.

საველე სამუშაოები წარიმართა მილსადენების მშენებლობის პროცესში და ნაწილობრივ გადარჩენით ხასიათს ატარებდა, რის გამოც სრული ინფორმაციის შეგროვება ვერ მოხერხდა. შესაბამისად, მოპოვებული მასალაც არასრული აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა რიგი საკვლევი თემებისა, რომლებიც მნიშვნელოვანია ქართული არქეოლოგიისათვის. მაგ.: ენეოლითური კულტურის ზეგავლენა მომდევნო მტკვარ-არაქსის კულტურაზე; ნასახლართა ორგანიზაციისა და სამშენებლო ტრადიციების უწყვეტობა მრავალი საუკუნის მანძილზე. იმედი გვაქვს, რომ ეს ნაშრომი თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ამ საკითხთა მომავალ კვლევაში.

საკვანძო სიტყვები: კულტურული უწყვეტობა, ნამოსახლარის ორგანიზაცია, კერამიკა.

გარემო ფონი

არქეოლოგიური ძეგლი სამშვილდე მდებარეობს თანამედროვე სოფელ სამშვილდისგან აღმოსავლეთით, 1.5 კმ მოშორებით, რის გამოც მას ეწოდა სახელი *სამშვილდე*. ძეგლი შეფენილია ფერდობზე, ზღვის დონიდან 925 მეტრზე, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარეების ჭიჭავისა და ხრამის ხერთვისს გადაჰყურებს (ილუსტრაცია 1). სამშვილდე ქვემო ქართლის რეგიონს განეკუთვნება, რომელიც გარშემორტყმულია თრიალეთის, ლოქისა და ჯავახეთის ქედებით [ხარაძე 2000:215]. ქვემო ქართლის ლანდშაფტი ხასიათდება დაბლობებით, მდინარის ველებით, პლატოებით და კანიონებით, თუმცა იგი ძირითადად მთაგორიანია. რეგიონში ვულკანური მთებიც არის. სამხრეთის რაიონები თანდათანობით მალღდება მარნეულის ტერასიდან, ზღვის დონიდან 270 მეტრიდან, ბედენის პლატომდე 1950 მეტრამდე. ზღვის დონიდან დაახლოებით 1800 მეტრის სიმაღლეზე იწყება

სუბალპური ზონა, რომელიც მაქსიმალურ სიმაღლეს – 2300 მეტრზე აღწევს. რამდენიმე მდინარე და წყარო სერავს ქვემო ქართლს. მდინარე მტკვარი ორ ნაწილად ჰყოფს მის ალუვიურ დაბლობს. რეგიონში ძირითადად კონტინენტური კლიმატია გაბატონებული, მაგრამ სხვა კლიმატური ზონებიც არსებობს, რომლებიც ლანდშაფტთან შესაბამისობაში წარმოიქმნა. არიდული, ნესტიანი და მაღალმთიანი კლიმატი იყრის რეგიონში თავს [ხარაძე 2000:218-219].

განსხვავებული ლანდშაფტისა და კლიმატური ზონების სინთეზის შედეგად რეგიონში ფლორისა და ფაუნის სიჭრელეა. ლანდშაფტი შერეული ტყეების, ჯაგ-ეკლისა და ბალახის საფარით ხასიათდება. მიწის აგებულება რეგიონის სხვადასხვა ნაწილში განსხვავებულია. მაღალმთიანი რეგიონების დეპოზიტები წარმოდგენილია შუა ცარცული სედიმენტებით, რომლებიც შედგება არკოზული ქვიშაქვით, კირქვითა და ტუფით. შედარებით ახალგაზრდა ეფუზიური ქანები, დოლერიტული ლავები და ვულკანური მინებიც გვხვდება. ქვემო ქართლის ნიადაგსაფარი სხვადასხვა ლანდშაფტურ ზონაში სხვადასხვა ტიპისაა. ტყის განადგურების შემდეგ, საშუალო მთიან რეგიონებს ყომრალი ნიადაგი შემორჩა. უტყეო მთისწინეთში განვითარდა უავისფერი ნიადაგი. მარნეულისა და გარდაბნის ვაკეები რუხ-უავისფერი ნიადაგით დაიფარა. მთის შავმიწები წალკისა და ქციის ზემო პლატოებზე განვითარდა. ტყიანი ზონის ზევით მთა-მდელოს ნიადაგების ფორმირება მოხდა, ხოლო სამსარისა და ჯავახეთს კლდოვანი ქედები და კანიონებში არსებული ქარაფები ნიადაგს მოკლებული აღმოჩნდა [ხარაძე 2000:220-221]. ქვემო ქართლის გარემოსა და ლანდშაფტის მრავალფეროვნება რეგიონის ბუნებრივ სიმდიდრეს განაპირობებს.

არქეოლოგიური აღმოჩენები

არქეოლოგიურმა გათხრებმა სამშვილდეზე სულ 22 ძეგლი გამოავლინა. თითქმის ყველა ძეგლი ნაწილობრივ იქნა გამოაშკარავებული და ამიტომ მათი სრული ზომები და გეგმარება გაურკვეველი დარჩა. 22 ძეგლიდან 9 დასაკრძალავი ხასიათისა იყო, 11 საცხოვრებელს უკავშირდებოდა, ხოლო ორის ფუნქცია გაურკვეველი დარჩა. ძეგლების ფუნქციისა და თარიღის დასადგენად ძირითადად მათი ფორმა და მშენებლობის ტექნოლოგია იქნა გამოყენებული. მათი მიკუთვნება ამა თუ იმ კულტურისათვის *in situ* აღმოჩენილი დიაგნოსტიკური არტეფაქტების საფუძველზე მოხერხდა, რადგანაც გადარჩენილი არქეოლოგიური სამუშაოები სამშენებლო საქმიანობით იყო შეზღუდული. ძეგლები, რომლებმაც ქრონოლოგიური მრავალფეროვნება გამოავლინეს ენეოლითურ, გვიან ბრინჯაოს, ელინისტურ და შუა საუკუნეების პერიოდებს მიეკუთვნა.

ენეოლითი ძვ.წ. 4000

ორმო 5 მდებარეობდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1.4მ სიღრმეზე. ძირი 0.6მ სიგრძისა იყო, ზედა ნაწილი კი 0.25მ ორმოს ძირზე გაპრი-ალეზული კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებთან ერთად ძროხის ძვლები, კბილები და რქები აღმოჩნდა. ორმო ნაცარ-ნახშირიანი მასით იყო სავსე.

ენეოლითური კერამიკა სხვადასხვა ჭურჭლის ძირისა და კედლის ფრაგმენტებისაგან შედგებოდა. ძირები ბრტყელი იყო, კედლები კი – გამობერი-ლი. ფრაგმენტები ენეოლითური კერამიკისათვის დამახასიათებელ ისეთ ელემენტებს შეიცავდნენ, როგორიც არის მინარევებიანი თიხა, ორ, ან სამ-ფენიანი კეცი და ღია ფერის გაპრიალეზული ზედაპირი.

გვიანბრინჯაოს ხანა

ორი ორმო და ერთი პურის საცხოობი ღუმელი განისაზღვრა ამ პერი-ოდით.

ორმო 8 მდებარეობდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1.05მ სიღრმეზე. მას ბრტყელი ძირი ჰქონდა, მაქსიმალური სიგანე შუა წელში 1.5მ აღწევდა. ორმოში გაპრიალეზული კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებთან ერთად ობსიდიანის ანატაკეცი, ძროხის, ცხვრისა და თხის ძვლები და კბილები აღმოჩნდა. ორმო ნაცარ-ნახშირიანი მასით იყო სავსე.

ორმო 13 მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1მ სიღრმეზე მდებარეობდა. მას ბრტყელი ძირი და სწორი კედლები ჰქონდა, სიგანე 0.9მ აღწევდა. ორმოში გაპრიალეზული კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები და ნაცარ-ნახშირიანი მასა აღმოჩნდა.

პურის საცხოობი ღუმელის ძირი მომრგვალებულკუთხეებიანი ოთხკუთხედის ფორმისა იყო. გადარჩენილი ნაწილის ზომები იყო: 1.4მ სიგრძე და 0.8მ სიგანე. იგი თიხის ფილების სამი ფენისაგან და კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტების ორი ფენისაგან შედგებოდა. თიხის ფილებისა და კერამიკული ჭურჭლის ფენები თიხის ხსნარით იყო გადალესილი და მონაცვლეობდა. პურის საცხოობ ღუმელის რიყის ქვის ერთი რიგი ჰქონდა გარს შემოვლებული. კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები თიხა და ქვასთან ერთად სამშენებლო მასალად გამოიყენებოდა.

გვიან ბრინჯაოს ხანის კერამიკული ჭურჭელი ჩარხზე დამზადებულ დერგებს, ჭოთნებს, დოჭებსა და ქუსლიან ჯამებს წარმოადგენდა. კეცი და ზედაპირი შავ, რუხ, და ყავისფერ ფერებში მონაცვლეობდა. დეკორაცია შეზღუდული იყო და ნაპრიალეზი ზედაპირით შემოიფარგლებოდა, იშვიათად კი – ნაჭდევებით.

ელინისტური პერიოდი

უველაზე მრავალრიცხოვანი ელინისტური ხანის ძეგლები აღმოჩნდა: შვიდი ქვაყუთი, ერთი ქვევრსამარხი, ექვსი ორმო და ერთი პურის საცხოვნი ღუმელი.

ქვაყუთი 1 თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1მ სიღრმეზე მდებარეობდა. მისი სიგანე 1მ აღწევდა. ადამიანის ძვლებთან ერთად ერთი ბრინჯაოს ბეჭედი, ერთი ვერცხლის ბეჭედი და ერთი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები იქნა ამოღებული დაზიანებული სამარხიდან. კალიანი ბრინჯაოსაგან დამზადებული მასიური სამაჯური შემთხვევით აღმოჩნდა სამარხის ახლოს (ილუსტრაცია 2). სავარაუდოდ სამაჯურიც ამ სამარხში უნდა ყოფილიყო.

ქვაყუთი 2 თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0.7მ-0.8მ სიღრმეზე მდებარეობდა. სამარხის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი გადარჩა. მისი სიგანე 1.2მ იყო. პატარა ზომის თიხის ჭურჭელი ნაჭდევებიანი ორნამენტით, წითლად შეღებილი ქოთნის ფრაგმენტი და ერთი სადა ქოთანი შეადგენდა სამარხეულ ინვენტარს. ადამიანის ძვლები სამარხში არ აღმოჩნდა.

ქვაყუთი 3 თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0.6მ სიღრმეზე მდებარეობდა. ერთი წითლად შეღებილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი აღმოჩნდა სამარხში. ადამიანის ძვლები არ შემორჩენილა.

ქვაყუთი 4 ჩრდილო-აღმოსავლეთი ფილა შემორჩა მხოლოდ. სადა კერამიკის ფრაგმენტები და ადამიანის ძვლოვანი ნაშთები იქნა აღმოჩენილი სამარხში.

ქვაყუთი 6 თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1.1მ სიღრმეზე მდებარეობდა. იგი აღმოსავლეთიდან დასვლეთისაკენ იყო მიმართული. სამარხის ზომები იყო 0.5მ სიმაღლე X 0.6მ სიგანე X 1.1მ სიგრძე. ერთი ბრტყელძირიანი, გამობერილმუცლიანი, წითლად შეღებილი ქოთნის ფრაგმენტები და ადამიანის ძვლები აღმოჩნდა სამარხში.

ქვაყუთი 7 თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1მ სიღრმეზე მდებარეობდა. იგი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იყო მიმართული. სამარხის ზომები იყო 0.6მ სიმაღლე X 0.6მ სიგანე X 1მ სიგრძე. სამარხში სადა და ნაპრიალეები კერამიკის ფრაგმენტები და ადამიანის ძვლები აღმოჩნდა.

ქვაყუთი 14 თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1მ სიღრმეზე მდებარეობდა. იგი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასვლეთისაკენ იყო მიმართული. სამარხის ზომები იყო 0.6მ სიმაღლე X 0.6მ სიგანე X 1.3მ სიგრძე. სამარხში ადამიანის ძვლოვან მასალასთან ერთად რკინის საკინძისა და სამაჯურის ფრაგმენტები აღმოჩნდა.

ქვევრსამარხი 17 ვერტიკალურად იყო ჩაჭრილი თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1მ სიღრმეზე. ქვევრის ქუსლი ოდნავ იყო გამოყვანილი. ქუსლის დიამეტრი 0.2 მეტრია, ხოლო თვითონ ქვევრისა – დაახლოებით 1მ ქვევრში ადამიანის ძვლები არ აღმოჩნდა, მაგრამ აღმოჩენილა ძალის მთლიანი ჩონჩხი, რაც შესაძლოა, კენოტაფის მაჩვენებელი იყოს. ძალის

სიკვდილის მიზეზის დადგენა ვერ მოხერხდა. კბილების მიხედვით სამშვილდე-დეს ძალი 1,5 - 2 წლის ეგზემპლარს ეკუთვნის, რომელიც თავის ქალისა და კიდურების მიხედვით ცოტა უფრო პატარა ზომისაა, ვიდრე ქართული მეცხვარული ჯიში. ქვევრში აღმოჩენილი არტეფაქტები შედგებოდა სამი საფეგავი ჭვისაგან და სადა, ღია ფერის, გაპრიალებული და წითლად მოხატული კერამიკის ფრაგმენტებისაგან. თვითონ ქვევრსამარხის ყელიც შემკული იყო ნაჭდევებიანი წრიული ორნამენტითა და ჰორიზონტალური და ვერტიკალური წითელი ხოლებით (ილუსტრაცია 4).

ორმო 9 მდებარეობდა თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1.3მ სიღრმეზე. ძირის დიამეტრი 1.3მ იყო სიმაღლე 1 მ, კედლები პირისკენ ვიწროვდებოდა. ორმო სავსე იყო ნაცარ-ნახშირიანი მასით. ქვედა ფენებში ძროხის, ცხვრისა და ღორის ძვლები აღმოჩნდა. კერამიკული ჭურჭელი ღია ფერის სადა და წითლად შეღებილი ფრაგმენტებისაგან შედგებოდა.

ორმო 10 მდებარეობდა თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1.25მ სიღრმეზე. მას მსხლისებური ფორმა ჰქონდა, ძირის დიამეტრი 1.3მ აღწევდა, ხოლო სიმაღლე 1.1მ. ორმო სავსე იყო ნაცარ-ნახშირიანი მასით. იატაკის დონეზე აღმოჩნდა გოჭის ქვედა უბა კბილებით, ხმელეთის კუს ჯავშნის ფრაგმენტები და ღია ფერის კერამიკის ნატეხები, მოყავისფრო საღებავის კვალით.

ორმო 11 მდებარეობდა თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1.4მ სიღრმეზე. მასაც მსხლისებური ფორმა ჰქონდა. ძირის დიამეტრი 1.9მ იყო, შერჩენილი სიმაღლე კი 1მ. ორმოში სადა და ნაპრიალები კერამიკის ფრაგმენტები აღმოჩნდა, იატაკის დონეზე კი სამი მოზრდილი დაუმუშავებელი ქვა.

ორმო 12 მდებარეობდა თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1.3მ სიღრმეზე. ისიც მსხლისებური ფორმისა უნდა ყოფილიყო. ძირის დიამეტრი 2მ იყო, შერჩენილი ნაწილის სიმაღლე კი 1მ. ორმო სავსე იყო ნაცარ-ნახშირიანი მასით. იატაკის დონეზე აღმოჩნდა დაუმუშავებელი ქვები, სადა და შეღებილი თიხის ჭურჭლისა და სადგრის ფრაგმენტები.

ორმო 18 მდებარეობდა თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 2.4მ სიღრმეზე. იგი მსხლისებური ფორმის უნდა ყოფილიყო. ძირის დიამეტრი 2მ იყო, შერჩენილი სიმაღლე 0.9მ. ორმო სავსე იყო ნაცარ-ნახშირიანი მასით. კერამიკული მასალა სადა, ნაპრიალები და შეღებილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან შედგებოდა.

ორმო 20 მდებარეობდა თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1.9მ სიღრმეზე. მას ცილინდრული ფორმა ჰქონდა. ძირის დიამეტრი 1.5მ იყო. ორმო სავსე იყო ნაცარ-ნახშირიანი მასით, რომელშიც აღმოჩნდა სადა, გაპრიალებული, შეღებილი და რელიეფური ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

პურის საცხობი ღუმელის ძირი მომრგვალებულკუთხეებიანი ოთხკუთხედის ფორმისა იყო. გადარჩენილი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ზომები იყო: 2მ სიგრძე და 1მ სიგანე. იგი თიხის ფილების ორი ფენისაგან და

კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტების ერთი ფენისაგან შედგებოდა. თიხის ფილებს შორის კერამიკული ჭურჭლის ერთი ფენა იყო. ფენები თიხის ხსნარით იყო გადალესილი. პურის საცხობ ღუმელის რიყის ქვის ერთი რიგი ჰქონდა გარს შემოვლებული. კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები თიხა და ქვასთან ერთად სამშენებლო მასალად გამოიყენებოდა.

ელინისტური კერამიკული ფორმები როგორც დიდი ზომის საყოფაცხოვრებო ასევე მცირე ზომის სუფრის ჭურჭლით იყო წარმოდგენილი. კარგად განლექილი თიხისაგან დამზადებული ქვევრები, დერგები, ქოთნები, დოქები, ჯამები, ლანგრები და უურიანი კათხები ჩალისფრად ან ნაცრისფრად იყო გამომწვარი. დეკორაცია უფრო მრავალფეროვანი იყო. ჭურჭლის ზედაპირი შემკული იყო რელიეფური ან ნაჭდევებიანი ზოლებით და შელებილი იყო წითელი და ყავისფერი საღებავით ან ანგობით. ქვისგან დამზადებული მხოლოდ რამდენიმე საყოფაცხოვრებო ნივთი - საფქვავი ქვეები იქნა მოპოვებული ელინისტური ხანის ძეგლებში. ქვაყუთებში აღმოჩენილმა ლითონის მცირერიცხოვანმა მონაპოვარმა წარმოადგინა ელინისტური სამკაული.

შუა საუკუნეები

ერთი ორმოსამარხი დათარიღდა შუა საუკუნეებით. ორმოსამარხი 21 მდებარეობდა 0.95მ სიღრმეზე მიწის თანამედროვე ზედაპირიდან. მისი შემორჩენილი ზომები იყო: 1.9მ სიგრძე, 1.5მ სიგანე, 0.5მ სიმაღლე. ორმოსამარხში აღმოჩნდა ადამიანის ძვლების ნაშთები და თეთრი ანგობით შელებილი და მოხატული თიხის ერთი ჭურჭლის ფრაგმენტები.

შუა საუკუნეების კერამიკა გათხრების ტერიტორიაზე შემთხვევითაც იქნა მოპოვებული. ისინი ქოთნების, დოქებისა და ხუფების სახით იყო წარმოდგენილი. კერამიკული ფრაგმენტები ძირითადად სადა იყო. ზოგიერთი მათგანი შემკული იყო რელიეფური და ნაჭდევებიანი ორნამენტით.

დაუდგენელი თარიღისა და ფუნქციის ძეგლები

ძეგლი 15 ჭრილში გამოჩნდა როგორც მიწის ანომალია, რომელსაც ოთხკუთხა კონტური ჰქონდა. მისი სიმაღლე 1.1მ შეადგენდა, ხოლო სიგანე 3მ. ჭრილში არ ჩანდა არც ძვლები და არც არტეფაქტები, თუმცა იატაკის დონეზე, იქვე ახლოს შემთხვევით იქნა მოპოვებული თრიალეთური კერამიკის მსგავსი ფრაგმენტები. შავპრიალა კერამიკის ფრაგმენტები შემკული იყო შტამბით დატანილი სავარცხლისეპური გეომეტრიული ორნამენტითა და სვასტიკით და ერთი მოზრდილი ჭურჭლის ნაწილებს შეადგენდა (ილუსტრაცია 5). მსგავსი ფორმისა და დეკორაციის ჭურჭელი ძვ.წ. 1800-1600 წლებით თარიღდება [გოგაძე 1972:39-43, 95].


ძეგლი 16 მდებარეობდა 0.8მ სიღრმეზე თანამედროვე მიწის ზედაპირიდან და წარმოადგენდა ორმოს, რომლის ზომები იყო 0.3 მ სიმაღლე და 0.5 მ სიგანე. ორმოში აღმოჩნდა საჭონლის თავის ქალისა და ქვედა უბის ძვლები. არტეფაქტები არ დადასტურებულა.

სულ 688 არტეფაქტი იქნა მოპოვებული ძეგლზე, აქედან 679 თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი იყო, 4 ქვის იარაღი, ხოლო 5 ლითონის ნივთი. 654 ნივთი არქეოლოგიური კონტექსტიდან მომდინარეობდა, 34 კი შემთხვევით მონაპოვარს წარმოადგენდა, რაც მთელის 5% შეადგენდა. არტეფაქტთა უმრავლესობა კერამიკა იყო, რამდენიმე ნივთი იყო გაკეთებული ქვისა და ლითონისაგან. კერამიკა, კულტურული პერიოდების მიხედვით, კეცისა და დეკორაციის საფუძველზე განისაზღვრა. შედეგად ხუთი სხვადასხვა პერიოდის მასალა მივიღეთ.


ძეგლზე ასევე შეგროვდა ადამიანის ძვლოვანი მასალა და ეკოფაქტები. ადამიანის ძვლოვანი ნაშთები ძალზე ცუდად იყო შემონახული. ფაუნისტური მასალა შედგებოდა ძირითადად ძუძუმწოვრების და ერთი რეპტილიისაგან. კულტივირებული და ველური ფლორის სახეობები იქნა იდენტიფიცირებული ეთნობოტანიკური ანალიზებისათვის აღებულ მიწის ნიმუშებში. რბილი ხორბლის მარცვლები აღმოჩნდა ენეოლითურ, გვიანბრინჯაოსა და ელინისტური ხანის ძეგლებიდან შეგროვებულ მასალებში. კულტურული ორმარცვალა, ყურძნის წიპწა, ოსპი და კილიანმარცვლიანი ქერი იდენტიფიცირდა ელინისტური პერიოდის ნიმუშებში. კარბონიზებული ფეტვის მარცვალი შეადგენდა მცენარეული მასალის უმრავლესობას, რომელიც ნიმუშების 50% -ში აღმოჩნდა. ყველა მათგანი ელინისტურ პერიოდს უკავშირდებოდა. ბირკავა, პირწმინდა, წითელი ნაცარქათამა, მწვანე მარწყვი, ჭელიოტროპი და კიდევ სხვა 15 ჯიში შეადგენდა ველურ მცენარეთა სპექტრს.

სამშვილდის ძეგლი განფენილია რელიეფურ ლანდშაფტზე. ძირითადად, ძეგლის სამხრეთი ფერდობი იყო ძველი ადამიანის მიერ ათვისებული დიდი ხნის მანძილზე. ყოველი მომდევნო პერიოდი წინამორბედი პერიოდის ძეგლს აზიანებდა. სამშენებლო სამუშაოებიც იწვევდა გარკვეულ არეულობას. ამიტომ კულტურული ფენები ხშირად არ იყო თანმიმდევრული. ყოველივე ამის შედეგად, ძეგლზე სტრატეგრაფია დარღვეული აღმოჩნდა.


დიაგრამა 1. კულტურული კუთვნილებისა და მასალის მიხედვით კლასიფიცირებული არტეფაქტები



დიაგრამა 2. ფუნქციისა და მასალის მიხედვით კლასიფიცირებული არტეფაქტები



დიაგრამა 3. კულტურული კუთვნილებისა და დეკორაციის მიხედვით კლასიფიცირებული არტეპაქტები.



დასკვნები

სამშვილდის ძეგლზე მოპოვებული მასალები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ კონტექსტში თუ უკონტექსტოდ გამოვლენილი თითოეული კულტურული პერიოდი დაწვრილებით იქნეს განხილული, თუმცა მაინც მოხერხდა ისეთ საკვლევ საკითხებზე მსჯელობა, როგორც არის სხვადასხვა პერიოდს შორის არსებული კულტურული უწყვეტობა და ეს კონკრეტულად ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას ეხება. ადამიანის უძველესი საქმიანობა სამშვილდის ძეგლზე ენეოლითით განისაზღვრა. აღმოსავლეთ საქართველოში ენეოლითური კულტურის ორი ეტაპი გამოიყო: შულავერი-შომთეთევი¹ და სიონი [მენაბდე...1981:26-33, ჯაფარიძე 2006:260-274]. მეოთხე ათასწლეულის პირველ ნახევარში სხვადასხვა დაუდგენელი მიზეზის გამო შულავერი-შომთეთევეს კულტურა დასრულდა. სიონის კულტურამ გააგრძელა არსებობა და თანდათანობით მტკვარ-არაქსის კულტურა წარმოიშვა.

1 თუმცა შულავერი-შომთეთევეს კულტურის ძეგლებს ნეოლითურ პერიოდსაც უკავშირებენ.

არსებობს რამდენიმე საწინააღმდეგო მოსაზრება მტკვარ-არაქსის კულტურის წამოშობის შესახებ [კუფტინი 1941; ჯაფარიძე 1976; კუშნარიოვა... 1970:60-94, 173-183; კილურაძე 1976; კუშნარიოვა 1993:51-92]. სიონის კულტურის იდენტიფიკაციის შემდეგ ის აზრი, რომ მტკვარ-არაქსის ადრეული ეტაპები ენეოლითურ კულტურასთან პოულობენ სიახლოვეს, კიდევ უფრო განმტკიცდა [კილურაძე 1998:19-20; კილურაძე... 2003:38-48].

ქვემო ქართლში სიონის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნასახლარის აღმოჩენის შემდეგ გამოიყო შულავერი-შომუ-თეფეს კულტურისაგან განსხვავებული სიონის კულტურა [მენაბდე... 1981]. სიონის კულტურის ძეგლები გავრცელებულია მთელს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ისინი სხვადასხვა ქრონოლოგიურ კონტექსტში ჩნდებოდნენ. ზოგჯერ ერთფენიანი ძეგლით იყო წარმოდგენილი სიონის კულტურის ძეგლები. იყო შემთხვევები, როდესაც სიონის კულტურული ფენა ზემოდან ედო შულავერი-შომუ-თეფეს ფენას, ან თავად იყო გადაფარული მტკვარ-არაქსის ფენებით [კილურაძე 1998:19]. ამგვარი სტრატეგრაფია სიონის კულტურის ქრონოლოგიურ ადგილს ადასტურებს, რომელიც ძვ.წ. 4200-3500 წლებით თარიღდება. ამ თარიღს იძლევა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სინქრონული ძეგლებიდან გაკეთებული რადიოკარბონული ანალიზები (ბერიკლდეები, ლეილა-თეფე, ბეიუკ კესიკი, უინვალი). შესაბამისად, კიდევ უფრო მტკიცდება მოსაზრება, რომ სიონის კულტურის არეალში ისახება მტკვარ-არაქსის კულტურა [კილურაძე 1998].

დღესდღეობით, საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურის ყველაზე ადრეული ეტაპად მიიჩნევენ ქართლის ისეთ ძეგლებს, როგორც არის სამშვილდის I ფენა, თეთრიწყაროს ა ფენა, ხიზანაანთ გორის ე ფენა და ა.შ. ეს მიკუთვნება ძირითადად კერამიკის დამზადების ტექნოლოგიისა და არქაული ფორმების საფუძველზე მოხდა, მაგალითად, ბრტყელი ძირი, სწორი პირის-კიდე, ორ, ან სამფენიანი კეცი და გაპრიალებული ზედაპირი.

სამშვილდის ენეოლითური ორმოს თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებისა და ასევე მის სიახლოვეს მდებარე სინქრონული ორმოების მასალების განხილვის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კერამიკის ეს ჯგუფი თიხის შემადგენლობით, კერამიკული ფორმებით, კეცის, ფერისა და დეკორაციის მიხედვით მსგავსია სიონის, უფრო ზუსტად კი, სიონი-წოფის კულტურული წრის კერამიკული მასალისა და განეკუთვნება მის გვიანდელ სტადიას. თიხის ჭურჭლის ამ კოლექციებს ზოგადად სამშვილდის ენეოლითური კერამიკა ვუწოდეთ. ისინი შეიცავენ ენეოლითური კულტურის ისეთ ტიპურ ელემენტებს, როგორც არის არქაული ფორმა, თიხის შემცველობა, ორფენიანი კეცი, ფერი, ნაპრიალები ზედაპირი და რელიეფური ზიგზაგების ორნამენტაცია (ილუსტრაცია 6), თუმცა, რომ არა ტიპური ფორმა და განსაკუთრებით ორნამენტი, ეს კერამიკა დამზადების ტექნოლოგიის მიხედვით თავისუფლად შეიძლებაოდ მტკვარ-არაქსის კუთვნილებად ჩაგვეთვალო. ადრეული მტკვარ-არაქსის კერამიკის სტრუქტურა, კეცი და ფერი თითქმის იდენტურია ენეოლითურისა, მხოლოდ რელიეფური ზიგზაგების დეკორია

გამჭრალი. მტკვარ-არაქსის ადრეული საფეხურები ენეოლითური და ადრე ბრინჯაოს ხანის საქმიანობის კორელაციით ხასიათდება, რაც კარგად ჩანს სამშვილდის კერამიკის დამზადების ტექნოლოგიაში. სამშვილდის ენეოლითური კერამიკა ასახავს ამ ორი პრეისტორიული კულტურის ევოლუციურ კავშირებს და, შესაბამისად, ამყარებს იმ აზრს, რომ ქვემო ქართლი ერთ-ერთი იმ ადგილთაგანია, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურა ჩაისახა.

ქვემო ქართლი არა მარტო ენეოლითისა და მტკვარ-არაქსის კულტურების განვითარების არეალი იყო. აქ, ასევე იდენტიფიცირებული იქნა თრიალეთის კულტურა. თრიალეთური კერამიკული ნაწარმის ერთ-ერთი დამახასიათებელი შემკულობაა ნაპრიალები ზედაპირი და სავარცხლისეზური გეომეტრიული ორნამენტი. შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტმა, რომელიც არქეოლოგიური კონტექსტის გარეშე აღმოჩნდა, თრიალეთური კულტურისათვის დამახასიათებელი დეკორაცია წარმოაჩინა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფრაგმენტები კონტექსტის გარეშე აღმოჩნდა, ცხადია, რომ ისინი ყორღანიდან არ მომდინარეობდნენ. არც ძეგლზე და არც მის ირგვლივ არ შეიმჩნეოდა ყორღანის კვალი. ფრაგმენტები ძეგლი 15 ახლოს, იატაკის დონეზე აღმოჩნდა. ძეგლი 15 ფორმა და ფუნქცია ვერ დადგინდა. ჭრილში იგი 3 მეტრის სიგრძის ოთხკუთხა მიწურს წააგავდა. თრიალეთის კულტურა მხოლოდ სამარხებით არის ცნობილი. აქამდე უცნობია ამ კულტურის ნასახლარები. გასაგებია, რომ მხოლოდ ამ ფრაგმენტების აღმოჩენა სავარაუდო მიწურთან არ გვაძლევს საშუალებას, დავადასტუროთ ნამოსახლარის არსებობა, თუმცა ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ მათი მოხსენიება, რადგანაც ამ ფაქტმა შეიძლება მომავალი აღმოჩენები სრულყოფს და ხელი შეუწყოს მათ უფრო ფართო კონტექსტში გაშუქებას.

საცხოვრებელთან დაკავშირებული საქმიანობა რამდენიმე ორმომ ასახა, რომელიც ენეოლითს, გვიანბრინჯაოსა და ელინისტურ პერიოდებს მიეკუთვნა. ორმოების გამოყენება ნასახლარზე როგორც მარცვლეულის ან რაიმე სხვა პროდუქტის შესანახად, ასევე სარიტუალოდ კარგად ნაცნობი პრაქტიკაა ენეოლითიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით. რამდენიმე ადრეებრინჯაოს ხანის ორმოა აღმოჩენილი ქვემო ქართლში, სადაც დადასტურდა მათი მრავალფუნქციურობა. ღრმახევისთავის ადრეებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე აღმოჩნდა რამდენიმე ორმო [მირცხულავა... 1978:13]. ერთ-ერთ მათგანში ადამიანის ძვლოვანი ნაშთები გამოვლინდა, რაც ადასტურებს, რომ ორმოს მეორადი გამოყენების შედეგად სამარხის ფუნქცია მიუღია. ორმოების გამოყენება ენეოლითსა და ბრინჯაოს ხანაში უფრო ხშირია. სხვადასხვა პერიოდის ორმოები შეიცავენ ცხოველების ძვლებს, დამტვრეულ თიხის ჭურჭლებს ან კერის ფრაგმენტებს ნაცარ-ნახშიროვან ფენებთან ერთად. ასეთი ორმოები ხშირად ნასახლარის უსისტემო ნაგავსაყრელად განიხილებოდა. ბადაანში მტკვარ-არაქსის პერიოდის ნასახლარზე გამოვლინდა რამდენიმე ბრტყელძირიანი და მსხლისებურ ფორმიანი ორმო [მირცხულავა 2008:105]. ორმოების შიგთავსის სტრატე-

გრაფიამ ცხადყო, რომ მათ გარკვეული დანიშნულება ჰქონდათ. ორმოცეში მრავალი სხვადასხვა ნივთი აღმოჩნდა, მაგალითად, თიხის ჭურჭლისა და კერის ნატეხები, ქვის საყოფაცხოვრებო ნივთები, ბრინჯაოს ხვია, ბათქაშის ნაწილები, ცხოველის ძვლები, და ნაცარ-ნახშიროვანი ფენები. ზოგ ორმოს შიგნიდან ცეცხლის კვალი ეტყობოდა. კერამიკული კოლექციები დერგის, ქოთნის, დოქის, ჯამის, საწურისა და კერის ფრაგმენტებისაგან შედგებოდა, ხოლო საყოფაცხოვრებო იარაღები – საფქვავისაგან, სალესი ქვისა და ნამგლის ჩასართისაგან. ფაუნისტური მასალის იდენტიფიცირების შემდეგ გაირკვა, რომ ცხოველის ძვლები ეკუთვნოდა ძროხას, ცხვარსა და თხას. ამ ორმოთაგან ერთი განსაკუთრებულად არის აღსანიშნავი, რომლის იატაკ-ზეც ცხვრის ასამდე დამწვარი კოჭი აღმოჩნდა. ორმოს ზედა, მომდევნო ექვსი ფენა თიხის ჭურჭლის ნატეხებსა და ნაცარ-ნახშიროვან მასას შეიცავდა. თოთოეული ფენა თიხით იყო გადალესილი და ამგვარად განცალკევებული ერთმანეთისაგან. ერთი და იმავე ჭურჭლის ორი ნატეხი აღმოჩნდა ორ სხვადასხვა ფენაში, მეორესა და მეექვსეში, რომლებიც ერთმანეთისაგან 60 სმ-ით იყო დაშორებული. ორმოების შევსების მსგავსი ფაქტები დაფიქსირებულია ჟინვალისა [რამიშვილი... 1982:106] და მჭადიჯვრის ნასახლარებზე [წითლანაძე 2008:186]. ორმოების შევსების ამდაგვარი პრაქტიკა დამკვიდრებული რიტუალის არსებობაზე მიუთითებს, რომელიც საერთო იყო საქართველოს აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის.

სამშვილდის ორმოები ასეთი თანმიმდევრობით შევსებული არ ჩანს. მათ გამოავლინეს თიხის ფრაგმენტების, ცხოველის ძვლებისა და ნაცარ-ნახშიროვანი მასის ნარევი. როგორც ჩანს ისინი უსისტემოდ იდებოდა ორმოში დროის გარკვეული მონაკვეთის მანძილზე. ცხადია, ამ შემთხვევაში სისტემატიზებული რელიგიური წესი არ შეიმჩნევა, მაგრამ რაღაც სარიტუალო პროცესთან კავშირი აშკარაა. როგორც ჩანს, შეწირული თუ საკვებად დამზადებული შინაური ცხოველის ძვლებს და საყოფაცხოვრებო ნივთების ნაწილებს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც ისინი თითქმის ყოველთვის ჩნდება ორმოებში. ამ ნაწილების დაბინავება ორმოებში, რიტუალის ფინალური ეტაპი უნდა ყოფილიყო, რაც ალბათ გულისხმობდა მათ საცხოვრებელთან ახლოს ყოფნას.

სამშვილდის ძეგლზე ორმოების მდებარეობა საცხოვრებელთან მიმართებით ვერ დადგინდა. აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა პერიოდის მრავალ ძეგლზე ორმოები სახლებთან ახლოსაა განლაგებული, თუმცა მათი მდებარეობა სისტემატიზებული არ ჩანს. როდესაც ვიხილავთ ორმოების შიგთავსს, მათ სტრატეგრაფიას და ასევე ეთნოგრაფიულ მონაცემებს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორმოები სარიტუალო დანიშნულებისა იყო. ის ფაქტი, რომ სარიტუალო ორმოები მრავალი საუკუნის მანძილზე მუდმივად არსებობდა, მათ საჭიროებაზე მიუთითებს. სამშვილდის ძეგლმა აჩვენა, რომ ორმოები ნამოსახლარის მნიშვნელოვანი ელემენტი და რომ მათი

მოწყობა დასახლების ორგანიზაციის უწყვეტი ტრადიცია იყო ენეოლითიდან ელინისტური პერიოდის ჩათვლით.

გვიანბრინჯაოსა და ელინისტური პერიოდის ძეგლები, მიუხედავად ფრაგმენტულობისა, პურის საცხოვრებელ ღუმელებად იქნა იდენტიფიცირებული. ღუმელის ძირები ერთნაირი სამშენებლო მასალით იყო აშენებული და ერთნაირი ფორმა ჰქონდათ (ილუსტრაცია 7). მცირე სხვაობა იყო სამშენებლო სტილში. თიხის ფილებით, ქვებითა და თიხის ჭურჭლის ნატეხებით აშენებული პურის საცხოვრებელი ღუმელები შიდა ქართლის სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლიდან არის ცნობილი [მუსხელიშვილი 1978:89; დავლიანიძე... 1993:17]. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სამშენებლო მასალა და ტექნიკა გამოყენებული სარიტუალო კერების მშენებლობისას ნაცარგორას (სამხრეთი ოსეთი) გვიანბრინჯაოს პერიოდის ძეგლზე [გობეჯიშვილი 1951:246. 255-256]. პურის საცხოვრებელი ღუმელები საცხოვრებლის შიგნით იყო მოწყობილი და სამი ნაწილისაგან შედგებოდა: ღუმელი, საცეცხლე და სანაცრე განყოფილებები, რომლებიც ერთმანეთს მილებით უკავშირდებოდა. ღუმელისა და საცეცხლე განყოფილებების ძირი შედგენილი იყო თიხის ფილებისა და თიხის ჭურჭლის ნატეხების ფენებისაგან. ეს ტექნოლოგია – რამდენიმე ასეთი ფენის მონაცვლეობა – გამოყენებული იყო სითბოს ხანგრძლივად შესანარჩუნებლად. პურის ღუმელის სახურავი მომრგვალებული იყო. ზოგ შემთხვევაში ღუმელს საცეცხლეზე მიშენებული ჰქონდა პატარა ზომის მართკუთხა ზედაპირჩადრმავებული თიხის ნაგებობა, რომელიც სამსხვერპლო-საკურთხევლად მიიჩნეოდა. ხანდახან პურის საცხოვრებელი ღუმელები გარეთაც ეწყობოდა [დავლიანიძე... 1993:25-28]. სამშვილდის ღუმელების ძირებს ანალოგიური ელემენტები აქვთ. ქვის წყობა, რომელიც გარს ჰქონდა შემოვლებული, შესაძლოა, სახურავის ან ზედა ნაწილის საყრდენი ყოფილიყო. განსაზღვრა იმისა, თუ რამდენი ნაწილისაგან შედგებოდა ღუმელები ან სად იყო მოწყობილი, შინ თუ გარეთ, შეუძლებელია. მაგრამ იმის თქმა, რომ ისინი პურის საცხოვრებელი ღუმელებია, დარწმუნებით შეიძლება.

ამრიგად, ქვემო და შიდა ქართლში პურის საცხოვრებელი ღუმელების ერთნაირი სტრუქტურა გამოვლინდა. მათი სახლში მოწყობის ტრადიციაც ერთნაირი იყო. როგორც ჩანს, ეს ჩვეულება ქართლის რეგიონს არ გასცდენია, რადგანაც კახეთში, იორ-ალაზნის აუზში განსხვავებული წესია დადასტურებული. ამ ტერიტორიაზე თონეს მართავდნენ გარეთ, თიხით ამოლესილ ორმოებში [ფიცხელაური 1973:54]. სამშვილდის პურის ღუმელები გვიან, ბრინჯაოსა და ელინისტურ პერიოდებში მუდმივ სამშენებლო ტრადიციებს ავლენენ, რაც ამ ტერიტორიის პოპულაციის კულტურულ უწყვეტობასა და შესაძლო გენეტიკურ კავშირებზე მეტყველებს.

სამშვილდის ძეგლის ირგვლივ 1 კილომეტრის რადიუსში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლე დადასტურდა. ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი და სამაროვანი, შუა საუკუნეების ეკლესია, სამაროვანი, ნასახლარი და სადრენაჟო სისტემა – ეს არის იმ ძეგლთა ჩამონათვალი,

რაც ცხადყოფს ძველი ადამიანის აქტიურ დაინტერესებას ამ ტერიტორიით. ეს ფაქტი ასევე მიუთითებს ამ ადგილის მოსახლეობის სიმჭიდროვეზე. სამშვილდის ძეგლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ინტენსიური დასახლების სურათის წარმოსახვა შესაძლებელია კულტურული ფაქტორების მეშვეობით. მსგავს სიტუაციას ქართული წერილობითი წყაროც ასახავს. ქართლის ცხოვრებაში სამშვილდე მოხსენიებულია როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი განვითარებული ერთეული, რომელიც აქტიურად იყო ჩართული იბერიის პოლიტიკურ ცხოვრებასა თუ საომარ კამპანიებში [ქართლის ცხოვრება 18-19, 27, 33]. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე სამშვილდეს დაწინაურებული პოზიცია არა მხოლოდ ელინისტურ პერიოდში, არამედ ზემოთ აღნიშნულ სხვა დანარჩენ პერიოდებშიც უნდა ჰქონოდა.

სამშვილდის გარემო პირობები რომ ხელსაყრელი იყო ადამიანის მუდმივ საცხოვრებლად ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, აშკარაა. ძეგლზე მოპოვებული პალეოზოოლოგიური და ეთნობოტანიკური მასალის ანალიზმა გამოავლინა შინაური ცხოველებისა და კულტივირებული თუ ველური მცენარეების მრავალფეროვნება, რაც, ერთი მხრივ, ინტენსიური მეურნეობის, ხოლო მეორე მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის კვების რაციონის მაჩვენებელია. სამშვილდის ძეგლმა, რომელიც მიწის პატარა ნაკვეთზეა განლაგებული, ხუთი კულტურული პერიოდის მასალა გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ ვერ განისაზღვრა ძეგლის გავრცელების არეალი სრულად, ზოგიერთი კომპონენტის ფუნქცია და თრიალეთური კერამიკის წარმომავლობის ადგილი, მაინც მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღებული. შესაძლებელი გახდა ორი პრეისტორიული კულტურის ენეოლითისა და მტკვარ-არაქსის კავშირების გაშუქება და, შესაბამისად, მტკვარ-არაქსის ადგილობრივი წარმოშობის იდეის განმტკიცება. ასევე წარმოჩნდა ნამოსახლართა მოწყობისა და სამშენებლო ტრადიციების უწყვეტობა მრავალი საუკუნის მანძილზე.

დამოწმებანი

- გობეჯიშვილი 1951:** გერმანე გობეჯიშვილი. „სტალინირის ნაცარგორა“ მიმოხილველი 2, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამ-ბა, თბილისი, 1951.
- გოგაძე 1972:** ელგუჯა გოგაძე. თრიალეთის უორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, „მეცნიერება“, თბილისი, 1972.
- დავლიანიძე...1993:** რევაზ დავლიანიძე, ვაჟა სადრაძე. ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი, „მეცნიერება“, თბილისი, 1993.
- კიღურაძე 1976:** თამაზ კიღურაძე. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათ-მოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, „მეცნიერება“, თბილისი, 1976.
- კიღურაძე 1998:** თამაზ კიღურაძე. ენეოლითიდან ადრებრინჯაოზე გარდამავალი პერიოდი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია I, თბილისი, 1998, თბილისი, 1998.
- კიღურაძე... 2003:** Tamaz Kiguradze. Antonio Sagona. “On the Origins of Kura-Araxes Cultural Complex” *Archaeology In The Borderlands, Investigations In Caucasia and Beyond, Monograph 47*, edited by Adam T. Smith and Karen S. Rubinson, Costen Institute of Archaeology, University of California, Los Angeles, 2003.
- კუფტინი 1941:** Борис Куфтин. О древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. *Вестник государственного музея Грузии, том 12*, Тбилиси, 1941.
- კუშნარიოვა... 1970:** Карина Кушнарёва, Тариэл Чубинишвили. Древние культуры Южного Кавказа, „Наука“, Ленинград, 1970.
- კუშნარიოვა 1993:** Карина Кушнарёва. Южный Кавказ в IX-II тысячелетии до нашей эры, *Центр Питербургского востоковедения*, Санкт-Петербург, 1993.
- მენაბდე...1981:** მედეა მენაბდე, თამაზ კიღურაძე. სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, „მეცნიერება“, 1981.
- მირცხულავა...1978:** Гурам Мирцхулава, Каха Кахиани, Гела Гобеджишвили. «Краткий отчет Грмахевиставской археологической экспедиции», *Полевые археологические исследования в 1975 году*, „Мецნიერება“, Тбилиси, 1978.
- მირცხულავა...2008:** Guram Mirtskhulava. “The badaani Settlement”, *Ancient Near Eastern Studies, Supplement 19, Archaeology in Southern Caucasus: Perspectives From Georgia*, edited by Antonio Sagona and Mikheil Abramishvili, Peeters, Leuven-Paris-Dudley, MA , 2008.
- მუსხელიშვილი 1978:** დავით მუსხელიშვილი. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, მეცნიერება, თბილისი, 1978.
- რამიშვილი... 1982:** Рамин Рамишвили, Бесарион Джорбенадзе. “Жинвальская экспедиция”, *Полевые археологические исследования в 1979 году*, Метсნიერება, Тбилиси, 1982.
- ფიცხელაური 1973:** კონსტანტინე ფიცხელაური. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები, მეცნიერება, თბილისი, 1973.


ქართლის ცხოვრება... ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ჟაუხჩიშვილის მიერ, სახელგამი, თბილისი, 1955.


წითლანაძე 2008: Leila Tsitlanadze, "Mchadijvris Gora", *Ancient Near Eastern Studies, Supplement 19, Archaeology in Southern Caucasus: Perspectives From Georgia*, edited by Antonio Sagona and Mikheil Abramishvili, Peeters, Leuven-Paris-Dudley, MA, 2008.

ხარაძე 2000: კობა ხარაძე. „ქვემო ქართლი“, *საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი I, მეცნიერება, თბილისი, 2000.*

ჯაფარიძე 1976: ოთარ ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, *თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1976.*

ჯაფარიძე 2006: ოთარ ჯაფარიძე. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, *არტანუჯი, თბილისი, 2006.*






























ილუსტრაციების აღწერილობა

1. სამშვილდის ძეგლის მდებარეობა
2. სამშვილდის ელინისტური ხანის ბრინჯაოს სამკაული
3. სამშვილდის ელინისტური ხანის ქვაყუთი #14
4. სამშვილდის ელინისტური ხანის ქვევრსამარხი
5. ა. სამშვილდის თრიალეთური პერიოდის თიხის ჭურჭელი
ბ. სამშვილდის თრიალეთური პერიოდის თიხის ჭურჭლის დეკორაცია
6. სამშვილდის ენეოლითური პერიოდის კერამიკა
7. სამშვილდის პურის საცხობი ღუმელები

Figure Captions

- Figure 1. Map showing the location of the site of Samshvilde
Figure 2. Samshvilde. Hellenistic bronze jewellery
Figure 3. Samshvilde. Hellenistic cist (Feature 14)
Figure 4. Samshvilde. Hellenistic jar burial
Figure 5. a Samshvilde. Trialeti culture ceramic vessel
b Samshvilde. Drawing of Trialeti culture ceramic vessel Decoration
Figure 6. Samshvilde. Chalcolithic pottery
Figure 7. Samshvilde. Bread ovens

Cultural Continuity at Samshvilde

Irina Demetradze, Guram Mirtskhulava

Recent archaeological excavations conducted near the village of Samshvilde in eastern Georgia have helped to document striking elements of cultural continuity through a long period of time. A small parcel of land, ca. 2400m² in area, revealed traces of human activity from four separate cultural periods. A multi-layered site, Samshvilde yielded Chalcolithic, Late Bronze Age, Hellenistic, and Medieval materials. In addition pottery fragments attributed to Middle Bronze Age (Trialeti culture) have been found out of context on the site. Important floral and faunal data obtained from the site also established a number of environmental sequences and provided useful historical insights.

Field investigations came in the form of rescue excavations carried out in quite difficult circumstances occasioned by natural demolition and pipeline construction. Consequently, full documentation was not always possible. However a number of key overall research themes were identified, each of which relate to questions of importance to Georgian Archaeology. Namely, the presence of critical links between the Chalcolithic and the subsequent Kura-Araxes culture and the persistence of certain, specific settlement patterns and building methods through a number of different cultural periods. We hope, the presentation of these results will stimulate the further exploration of these various themes.

Key Words: *Cultural continuity, site organization, pottery*

Environmental Background

